პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 3 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

71 (1066)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გავაღრმავოთ მეთაურთა პოლიტიკური-განმანათლებელი ცოდნა

გუშინ ჩვენ ვლაპარაკობდით პოლიტშემადგენლობის გასამხედროებაზე. დღეს კი ჩვენ ვილაპარაკებთ მეთაურთა შემადგენლობის პოლიტიკურ-განმანათლებელ ცოდნის გაღრმავების შესახებ.

უდავოა ყველასათვის ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების სწორი პოლიტიკის წყალობით, ფართო მშრომელი მასა, ეკონომიური მდგომარეობის მოღონიერებასთან ერთად, სწრაფი ნაბიჯით ვითარდება პოლიტიკურათ და კულტურულათ.

ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ 14 პარტყრილობამ, რომელმაც თავის დადგენილებებით სათანადო ზომები გამოიმუშავა ფართო მშრომელი მასის, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში უშუალო ჩაბმისათვის (მაგალ. საბჭოების გადარჩევა და სხვა).

მაგრამ აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას, საუკეთესოთ გამოხატავს ის მშრომელი ახალგაზრდობა, რომლის ახალი რიგები ყოველწლიურათ ემატება ჩვენი წითელი არმიას.

თავის მხრივ ეს მშრომელი ახალგაზრდობა ჩვენს მეთაურებს უყენებს მთელ რიგ ისეთ საკითხებს, რომელიც შეეხება არა მარტო სამხედრო საქმეს, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. მეთაური კი ვალდებულია სათანადო პასუხი გასცეს ყველა იმ შეკითხვებს, რომელთაც მათ მისცემს ეს ახალგაზრდობა.

ამიტომ კი საჭიროა, რომ თვით ეს მეთაურები სათანადოთ იქმნენ მომზადებული ყველა ამ საკითხებზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში თუ მეთაური საერთო პოლიტიკურ და კულტურულ საკითხზე ვერ მისცემს ჯეროვან პასუხს ამ ახალგაზრდობას, მაშინ რასაკვირველია, მეთაურის ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყევა, რაიც არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ უნდა იქმნეს.

განსაკუთრებით მეტი ყურადღება ამ საქმისადმი ეთხოვება ტერიტორიალურ ნაწილებში მყოფ მეთაურთა შემადგენლობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ცვალებადელი წითელარმიელები მიმართავენ ხოლმე მათ მთელ რიგ ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებით და ისინი კი ვერ აძლევენ მათ სათანადო პასუხს. მეთაურთა შემადგენლობამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი გარემოება ძლიერ დასცემს მის ავტორიტეტს ცვალებადელების თვალში.

ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენი წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს საერთო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებზე ცოდნის მიღებას და გაღრმავებას.

აი სწორედ ამ მოსაზრებების მხედველობაში მიღებით იყო გამოწვეული საკავშირო რევოლიუც. სამხედრო საბჭოს ბრძანება № 1515, რომელიც ავალებს მეთაურთა შემადგენლობას პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებზე ცოდნის შეძენის აუცილებლობას.

მართალია ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა დატვირთულია სხვა და სხვა სამუშაოებით, მაგრამ ისინი ვალდებული არიან არა ნაკლები ყურადღება მიაქციონ პოლიტიკურ-განმანათლებელი ცოდნის მიღებას და ყოველი თავისუფალი წუთი უნდა გამოიყენონ ასეთის შეძენისათვის.

## „გადაჯგუფებანი ჟენევის შემდეგ".

(„იზვესტიას" წერილი).

ერთა ლიგის სესიის ჩაშლის შესახებ გაზეთ იზვესტიაში მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ევროპის სხვა და სხვა კუთხეებში შეიქნა დიპლომატიური წრიალი, რომელიც მიმართულია ახალი პოლიტიკური კომბინაციების შექმნისაკენ. ერთ ს მხრივ ინგლისი ცდილობს ასწრაფოდ მოაწყოს ბალკანეთის ლოკარნო, მეორეს მხრივ მზადდება საფრანგეთ—იტალია—სამხრეთ-სლავიის მოძრაობა. სწარმოებს ცენტრალურ ევროპის პოლიტიკურ ურთიერთობის სქემის გადასინჯვა. პოლონეთი, რომელიც მიკედლებული იყო ინგლისზე, იქეთ-აქეთ აწყდება, ეძებს ახალ გზებს, მაგრამ იმავ დროსეშინია ახლო მომავალში არ შეეჯახოს ინგლის—გერმანიის შეთანხმების გარდაუვალ შედეგს.

ახალი სქემების ძებნა განსაკუთრებით ნათლად დაეტყო საფრანგეთის პოლიტიკას გერმანიის მიმართ. საფრანგეთსა და ინგლისს შორის ქიშპობის სახეს წარმოადგენს საფრანგეთ—ოსმალეთის ხელშეკრულება. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესიის დადგენილება—არ დამტკიცებულიყო ეს ხელშეკრულება, გვიჩვენებს, რომ ინგლისი კომპენსაციას (ანაზღაურება) აძლევდა საფრანგეთს ხელშეკრულებაზე უარისთქმისათვის.

დღეს ჩვენ მოწამენი ვართ საფრანგეთის ახალი გამოსვლის, რომლის ზრახვები ჩარჩოებში ველარ თავსდება. გაზეთ „ეკო დე-პარი"-ში, რომელსაც არ შეიძლება შევსწამოთ გერმანოფილობა (გერმანიაზე მიდგომა) მოთავსებულია წერილი, რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია: ლოკარნოს კონფერენციამ დაგვანახა, რომ საფრანგეთის გამარჯვება შეკვეცილ უნდა იქნას, უმთავრესად, ინგლისისა და გერმანიის დაახლოების გამო. საფრანგეთისთვის ხელსაყრელია, თუ რომ ის თვითონ შეუთანხმდება გერმანიას და ამით შეეცდება ნიადაგი გამოაცალოს ინგლისის პოლიტიკას.

საფრანგეთ—გერმანიის დაახლოვება სერიოზულ დაჯგუფების ცდაა, რომელიც არ შეიძლება მოთავსდეს ერთხელ დასახულ ჩარჩოებში და წამოაყენებს ახალი საკითხების მთელ რიგს.

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ ახალი კომბინაციის, დაჯგუფების განვითარებას, ვინაიდან საბჭოთა კავშირისთვის საინტერესოა, თუ რა სახეს მიიღებს ევროპაში მოწინააღმდეგე მებრძოლ ძალთა გადაჯგუფება".

# ახალი რადიო ამბები

## საუბარი ფინ-იუი-სიანთან

საბჭოთა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, ჩინეთის მდგომარეობის შესახებ ფინ-იუი-სიანმა განაცხადა:

„ჩინეთი დღეს გარდამავალ პერიოდშია. ჩინეთის ნაწილი დღეს რეაქციონერების ხელშია, რომლებსაც მეთაურობს ჩან-ძო-ლინი და უ-პეი-ფუ. ჩან-ძო-ლინი მუშაობს იაპონიისთვის, უ-პეი-ფუ—ინგლისისთვის

ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელობს გომინდანის პარტია. სახალხო არმიაში შედის სტუდენტობის დიდი რაოდენობა. ვაჭრები და გლეხობის უმეტესობა ვერაა მდგომარეობაში გარკვეული. საჭიროა განათლების გაძლიერება მასებში, აგიტაცია და პროპაგანდა, რათა დაჩქარებულ იქნას ეროვნულ მოძრაობის გამარჯვება.

„მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ—განაცხადა მან—მე გადავწყვიტე შევიდე ფაბრიკაში ან ქარხანაში მუშად, გავიარო მშრომელთა წრეში ძირითადი პოლიტიკური სკოლა და ყოველმხრივ შევისწავლო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა.

მე განზრახული მაქვს დავრჩე საბჭოთა კავშირში 7 წელი, ხოლო შემდეგ კი მე დავბრუნდები ჩინეთში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ცხოვრების პირობების გამოცვლა მე არ მაშინებს, ვინაიდან მე 22 წელი ვიყავი მუშად, ხოლო შემდეგ ხანგრძლივ დროს განმავლობაში უბრალო ჯარისკაცად".

## სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა.

### ჩემბერლენის განცხადება

ინგლისის თემთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ჩინეთის საქმეებში ჩარევას არასასურველად სთვლის. ინგლისის ჯარებს ჩინეთში მიეცათ ინსტრუქციები, რომლის თანახმად „უნდა იხმარონ იარაღი, როგორც უკანასკნელი საშუალება უცხოელების უზრუნველყოფის დასაცავად".

ლიბერალების გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" იწონებს ჩემბერლენის განცხადებას, მაგრამ იმავ დროს დასძენს:

„ჩვენ მიერ ჩინეთში მიღებული ზოგიერთი ზომა დიდად განსხვავდება ჩემბერლენის განცხადებისაგან".

## აჯანყება ინგლისის გემზე

ინგლისის გემმა „ტენასიტიმ" ესპანეთის ნავთსადგურში შესვლისას გამოიწვია შთანგით სანაპირო პოლიციის რაზმი გემის შემადგენლობის აჯანყების ჩასახშობად. სასტიკი ბრძოლის შემდეგ შესძლეს აჯანყებულთა მეთაურების დაპატიმრება.

## ბრაზილიის განმარტება

ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბრაზილია არ უარყოფს ხელი შეუწყოს გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში.

ბრაზილია—ნათქვამია ქვევით—მზადაა მხარი დაუჭიროს გერმანიის მოთხოვნილებას ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის შესახებ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ გერმანიის გარდა მუდმივი ადგილი არ მიეცემა სხვა რომელიმე სახელმწიფოს.

## პარიზის მეღითონე მუშათა გაფიცვა.

დაიწყო პარიზის რაიონის მეღითონეთა დემონსტრაციული გაფიცვები.

ეს გაფიცვები გამოხმაურებაა მეღითონეთა რევოლიუციონურ პროფკავშირთა მოწოდების, რომელშიაც მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

## კამპანია უცხოელ მუშების წინააღმდეგ

საფრანგეთის რეაქციონურ გაზეთებმა დაიწყეს გაცხარებული კამპანია საფრანგეთის მრეწველობებში მომუშავე უცხოელ მუშების (3 მილიონამდე კაცია) წინააღმდეგ.

ერთი გაზეთი „პტი ბლე" აღნიშნავს, რომ რევოლიუციონურ ელემენტების 60 პროც.-ს შეადგენს უცხოელი კომუნისტები, ბოროტმოქმედებას მეტნაწილად იდენს პოლონელები. გაზეთი აცხადებს, რომ პოლიციამ დაუყონებლივ უნდა განდევნოს ის უცხოელები, რომლებიც არღვევენ სტუმართმოყვარეობის წესებს.

პარიზის ქალაქის გამგეობის მრჩევლები (მემარჯვენეები) ხაზს უსვამენ იმ ხარჯებს, რომელიც აწევს ქალაქს უცხოელებზე საექიმო დახმარების გამო.

## რუმინეთის ხელისუფლების სასტიკი რეჟიმი ბესარაბიაში

რუმინეთის პარლამენტის დეპუტატმა მუჩლერმა გამოაქვეყნა წერილი ბესარაბიის მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც აწერს რუმინეთის ხელისუფალთა თავხედობას. მუჩლერი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ბესარაბიის ნაწილების ჯარისკაცებს სისტემატიურად სჯიან ცემით.

ბესარაბიის გლეხობა აუტანელ მდგომარეობაშია. მთელი ბესარაბია მიგდებულია თავხედი ქალაქის თავებისა და ხუცების ანაბარად.

# საბჭოთა კავშირში

## „კრასნი პუტილოვეცის" 125 წლის თავი.

ლენინგრადში ჩავიდა დონის ოლქის ყაზახთა დელეგაცია.

დელეგაცია გაგზავნილ იქნა ქარხანა „კრასნი პუტილოვეცი" (წითელი პუტილოველი) მუშებზე წითელი დროშის გადასაცემად ქარხნის 125 წლის თავის შესრულების გამო.

# საქართველოში.

## მევენახეობის საჭიროებისთვის

ბათუმის ნავთსადგურში შემოვიდა 25 ათასი ფუთი შაბიამანი და 7.000 ფუთი გოგირდი. ეს საქონელი განაწილებულ იქნება დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობათა შორის მევენახეებზე მისაწოდებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენკუთხე და სამხედრო-სასროლო საქმე

ჩვენ ლენკუთხეებში გვაქვს სამხედრო განყოფილებები, რომლების დანიშნულებაც არის სამხედრო საქმის პოპულიარიზაცია წითელ არმიელთა შორის. უნდა ითქვას, რომ როგორც ლენკუთხე მთლიანად, ისე მისი სამხედრო განყოფილება აქცევენ ნაკლებ ყურადღებას სასროლო საქმეს.

ყოველ ლენკუთხეში ჩვენ შევხვდებით დაფას, რომელზედაც მიკრულია შაშხანის სხვა და სხვა ნაწილები წარწერებით. აი ამითია ამოწურული სასროლო საქმის პოპულიარიზაცია. ბევრმა წითელ არმიელმა არც კი იცის, რისთვის არის გამოფენილი შაშხანის ნაწილები.

უეჭველია, მარტო ამით არაფერი გაკეთდება. უნდა ვეცადოთ, რომ ლენკუთხემ შეიტანოს თავისი წვლილი კარგი მსროლელის მომზადებაში და შექმნას ამისთვის შესაფერი ნიადაგი.

წითელ არმიელი მაშინ გახდება კარგ მსროლელად, თუ იგი შეიყვარებს ამ საქმეს, დაინტერესდება მითი. ლენკუთხემ სხვა და სხვა საშვალებით უნდა დაარწმუნოს, დააჯეროს წითელი არმიელი, რომ თუ ის ცუდი მსროლელია, მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის დაინტერესებული. უნდა დაუმტკიცოდ არმიელს, რომ ცუდი მსროლელი არ გამოდგება ბრძოლაში.

რაც უნდა დიდი და ფართე აგიტაცია გავწიოთ ლენკუთხეში საბრძოლო საქმის ირგვლივ, მის მნიშვნელობაზე და სარგებლობაზე, ვერ მივიღებთ დადებით შედეგებს, თუ არ ვისარგებლეთ თვალსაჩინო ფორმით. ეს ფორმა არის—ტირი.

ტირი უნდა შევქნათ ასეულის ფარგლებში. მისი მოწყობა ძალიან ადვილია და არ მოითხოვს დიდ ხარჯებს.

სროლა ტირში არის ერთგვარი გასართობი და უეჭველია მალე მიიზიდავს წითელ არმიელებს. მხოლოდ აქ საჭირო ხელმძღვანელებმა მისცენ მას სხვა და სხვა ფორმები, რომ იგი არ იყვეს ერთფეროვანი. ერთფეროვნება დაუკარგავს ტირს ხალისიანობას. შეიძლება ტირის დაკავშირება პოლიტიკურ მომენტებთან.

თუ თავიდანვე კარგათ დავაყენებთ ტირის საქმეს, შესაძლებელი გახდება ჩამოყალიბება ერთგვარი ჯგუფის, რომლებშიაც თავმოყრილნი იქნებიან დაინტერესებული წითელ არმიელები. ამ ჯგუფთან მოეწყობა უფრო გაღრმავებული მუშაობა სასროლო საქმის ირგვლივ, შესასწავლად სროლის წესების და სხვა.

სასროლო საქმეში საჭიროა ფიზიკური განვითარება. გამომუშავება წითელ არმიელში ერთგვარი სიმარდის, მოქნილობის, რომელიც მთავარია სროლის დროს. ამ მიმართულებით უნდა მოეწყოს თამაში შაშხანას დაშლა-აწყობაზე და მიექცეს ყურადღება, რომ ამ თამაშის დროს დაცულ იქნეს სიდინჯე და ა ღელვებლობა.

თვალსაჩინო პროპაგანდასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასროლო საქმეში. კედლის გაზეთში გამოყოფილ უნდა იქნეს სასროლო განყოფილება. ბიბლიოთეკამ უნდა მოაწყოს შესაფერისი ლიტერატურის გამოფენა.

კარგი იქნება გამოფენა სურათების იმ წითელ არმიელთა, რომელთაც საუკეთესოდ შეითვისეს სასროლო საქმის თეორია და პრაქტიკაშიც გამარჯვებული გამოვიდნენ.

ე. ხუციშვილი.

## სურსათ-სანოვაგის დამზადება წითელ ჯარში.

მომარაგების საქმეში უფრო ძნელ და ღირსშესანიშნავ მომენტად უნდა ჩაითვალოს სურსათ-სანოვაგის დამზადება. თუ რომ რაიმე კომერციულ საქმეში ზარალი არახელსაყრელ პირობებში საქონლის შეძენის გამო ოდნავ მაინც გამოსწორდება მისი გასაღებით ბაზარზე, ჯარის ნაწილში საზარალო პირობებში შეძენილი სანოვაგე მძიმე ტვირთათ აწვება მის ბიუჯეტს, რადგან ერთეული მომხმარებელია და არა გამყიდველი სანოვაგისა. ამიტომ ეს გარემოება საჭიროდ ხდის მეტი ყურადღება მიაქციოს ჯარის ნაწილმა სურსათ-სანოვაგის დამზადების საქმეს.

რა უნდა იცოდეს თვითეულმა დამამზადებელმა? საჭიროა ცოტად თუ ბევრად იმ რაიონის ცოდნა, სადაც პროდუქტი უნდა დამზადდეს, ცოდნა პროდუქტის ბაზრის, მისი გადაზიდვის და შენახვის პირობებისა.

ამ ჟამად ჯარის ნაწილებს აქვთ მინდობილი ბოსტნეულობის დამზადების საქმე, ამიტომ ჩვენც განვიხილოთ რა ძირითადი პირობები უნდა იყოს დაცული მისი დამზადების დროს.

ბოსტნეულობა უნდა იქნას დამზადებული ხელსაყრელ ფასებში. ეს ანბანური ჭეშმარიტება ძნელი ასასრულებელია სინამდვილეში. დამზადების უფრო მიღებულ საშუალებათ ითვლება ხელშეკრულება პროდუქტების ჩაბარებაზე. მას აქვს მეტი უპირატესობა. ამ საშუალებით დამზადების დროს შესაძლებელია ხელშეკრულების ფასზე სანოვაგის მიღება იმ რაოდენობით, რაც დასჭირდება ერთეულს მიმდინარე საჭიროებისთვის. მაშასადამე პროდუქტის გადატანგადმოტანა და შენახვა ეკისრება თვით მოიჯარადრეს. აქ ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ პროდუქტის შენახვას, ვინაიდან მომეტებულ ნაწილს ჩვენი ერთეულებისას არა აქვთ სათანადოთ მოწყობილი ბოსტნეულობის შესანახი ადგილები.

ამ გარემოების გამო ხელშეკრულობის ფასი უნდა იყოს არსებულ ბაზრის ფასთან შედარებით უფრო მეტი. გარდა ამისა მოიჯარადრის ხელშეკრულობის ფასში შედის კიდევ სხვა და სხვა სავაჭრო ხარჯები, მოგება და სხვა, რაიც უფრო იწვევს განსხვავებას ხელშეკრულობის და არსებულ ბაზრის ფასებს შუა.

თვითეული დადებული ხელშეკრულობა სურსათ-სანოვაგის ჩაბარებაზე, როგორც უნდა ხელსაყრელი იყოს ბაზრის ფასებთან შედარებით, ცოტაოდენი ხნის შემდეგ შესაძლებელია გახდეს არა ხელსაყრელი, რის გათვალისწინება წინდაწინვე საძნელოა" მაგრამ მაინც კიდევ არსებობს ძირითადი პირობები დამზადებისა, რომელიც უნდა დაცულ იქნას ყოველთვის, სახელდობრ: საჯარო ვაჭრობაში უნდა ჩაბმულ იქნას მომეტებული ნაწილი სახელმწიფო, კოოპერატივების და კერძო სავაჭრო ორგანიზაციებისა, რათა ამნაირად ფასები უფრო დაწეული იქნას.

ნ. შანშიაშვილი.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

# სამხედრო საქმე

## ხელის ყუმბარები

მოგერიებითი ბრძოლის ყუმბარების მოხმარება კი შეიძლება, მხოლოთ მოგერიების დროს, რადგან იერიშის დროს მათ შეუძლიათ დააზიანონ თვით მტყორცნელები, თავის ნამსხვრევებით.

**ქიმიური ხელის ყუმბარები** წონით უდრიან ნამსხვრევ მოქმედების ხელის ყუმბარებს. მათი დანიშნულებაა მტრის ცოცხალი ძალის დაზიანება—ქიმიური საშუალებით (მოწამვლა, შეხუთვა), ასაფეთქებელ ნივთიერების მაგიერ, ამ ყუმბარას აქვს საგანგებო სითხე; როდესაც მსუბუქი ტანი ყუმბარის აფეთქდება დეტონატორის საშვალებით, სითხე გადმოიღვრება და იქცევა მომწამვლელ ჰაერგვარათ. ამ ყუმბარების უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს სუსტი მოქმედება სწორ ადგილმდებარეობაზე, ჰაერგვარების სწრაფი გაფანტვა ჰაერში. მათი მოქმედება უფრო ძლიერია, სანგრებში და მიწურებში მოთავსებულ მტერზე.

**ცეცხლის ყუმბარებს,** მსოფლიო ომის დროს ხმარობდენ ფრანგები (ჩვენ ასეთი ყუმბარები არ გვაქვს). მათი მოწყობილება და მოქმედება შემდეგია: მსუბუქი ალუმინის ტანი გავსებულია, ჰაერგვარების ნარევით. დეტონატორის აფეთქებით უჩნდება ცეცხლის ალი, უდიდესი ტემპერატურის. ასეთ ალს შეუძლია დასწვას ლითონის ბადეები და ზღუდეები. სანგრებში და მიწურებში მოქმედების დროს, ეს ყუმბარები აღმოჩნდენ საშინელ იარაღათ: ალის სიმხურვალე დაღუპავს და დაასახიჩრებს ყველა იქ მყოფთ.

ვ. შოთაძე.

## ჩვენი სამხედრო-სამეცნ. ორგანიზაცია.

სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა გაუწიოს დახმარება მოგერიებისა და თავდაცვის გაძლიერებას. თანამედროვე ომის წარმოება არ იქნება მარტო არმიაზე დამოკიდებული.

საერთოთ მტრის მიზანი იქნება შექმნას ზურგში დიდი პანიკა (მოულოდნელი საშიშროება), რაც არევ-დარევას შეიტანს და, რასაკვირველია, გავლენას იქონიებს ბრძოლის მსვლელობაზე, თუ ჩვენი მოსახლეობა და მოქალაქეები მას არ დაუხვდა ყოველ მხრივ მომზადებული.

სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობა პირველ ხანებში ვერ იყო დამაკმაყოფილებელი სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო, მაგრამ მეორე პერიოდში კი ყოველივე ეს—ნაკლი—გამოსწორებული იქნა, სათანადო ხელმძღვანელობაც გაეწია და მუშაობაც გამოცოცხლდა. დღეს არმიის მაშტაბით გვაქვს 88 სამხედრო-სამეცნიერო წრე, რომლებიც ნაწილდებიან 8 გაერთიანებებში, სადაც შედის: ოთხი გარნიზონის, სამი დივიზიების, სანაპირო ჯარების და ერთი აზერბეიჯანის—თოლქო—გარნიზონის გაერთიანება. გარდა ამისა არის ხუთი სამხედრო-სამეცნიერო წრე (ცალკე), რომლებიც არ შედიან აღნიშნულ გაერთიანებებში. წევრების რიცხვი არის 3,715. თუ მანამდე ადგილობრივ მუშაობას ეტყობოდა ნაკლი, როგორიცაა: ხელმძღვანელობის, საშუალებათა, სახელმძღვანელო ბიულეტენების უქონლობა და სხვა, ყოველივე ეს საკითხები დადებითადაა გადაწყვეტილი სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციის საკავშირო ყრილობაზე. დღეს ჩვენი ორგანიზაციის ქსელი თანდათანობით მატულობს, მტკიცდება, შემადგენლობა ხელოვნდება და თავის მუშაობის მთავარი ღერძი და ყურადღება თანდათანობით გადააქვს სამოქალაქო ორგანიზაციებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლებში და სხვაგან, რათა უახლოეს ხანაში ასრულებულ იქნას ამოცანა—**ყველა მშრომელი მასების გასამხედროება.**

დღეს სამოქალაქო—სასწავლებლებში, ფაბრიკა—ქარხნებში და სოფლებში გვაქვს სულ 169 სამხედრო კუთხე. ზემოაღნიშნული ციფრები და სხვა თავისთავად იძლევა პასუხს, თუ როგორი მიღწევები აქვს ამ მოკლე ხანში სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაციას.

მოსახლეობის გასამხედროების საქმეში მთავარი როლი უნდა ითამაშოს ტერიტორიალურ ნაწილებმა, განსაკუთრებით წერტებზე მყოფ უფროპოლიტ შემადგენლობამ, რომლებსაც გაუწევს ხელმძღვანელობას „ლეგსამხწრე“.

ჯ. ქუთელია.

## მ.გ.წ. არმიიდან გათავისუფლებულ მეთაურთა შემადგენლობის უზრუნველყოფა.

(ახალ კანონზე პენსიების შესახებ).

დადგენილება მ. გ. წ. არმიის კადრის მეთაურთა შემადგენლობის უზრუნველყოფის შესახებ დამტკიცებულ იქნა საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ 2 თებერვალს და ამ რიგად მან უკვე მიიღო კანონის ძალა.

სრულიად ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც იჩენს არმიის მეთაურთა შემადგენლობა ახალი კანონის მიმართ. პენსიებზე ახალი კანონების შემოღებით კადრის მეთაურთა შემადგენლობას ეძლევა დახმარება იმ დროს, როცა ის უკვე მიაღწევს უმაღლეს ჰასაკს, ანდა ავადმყოფობის გამო ის იძულებული იქნება გავიდეს არმიის რიგებიდან.

მთელი მეთაურთა შემადგენლობა, ამჟამად ის დროს მათი მდგომარეობის მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

უმთავრესი ჯგუფი, უეჭველია მეთაურთა შემადგენლობის ის ჯგუფია, რომელიც თავისუფლდება არმიიდან შედარებით ახალგაზრდა ჰასაკში სამსახურისა და თანამდებობის დაწესებულ ვადების დასრულების შემდეგ და ბრუნდება არმიიდან სამუშაოდ სხვა და სხვა დაწესებულებებში, საწარმოებში და სხვა.

ახალი კანონით ამ ჯგუფს, თუ რომ მას უმსახურია წ. არმიაში 3-დან 5 წლამდი, ეძლევა წასვლისას დახმარება—1-ნახ. თვის ჯამაგირის რაოდენობით, ხოლო თუ 5 წელზე მეტი უმსახურია, თვითეულ ზედმეტი წლისთვის ეძლევა კიდევ 1/4 თვის ჯამაგირის რაოდენობა. ამას გარდა, ამ გათავისუფლებულ მეთაურთა შემადგენლობის ის ნაწილი, რომელსაც სამხედრო სამსახურში შესვლამდი უმუშავია ქირაზე, თუნდაც ერთი დღე, ადგილის შოვნამდი უზრუნველყოფილია უმუშევართა დახმარებით, რომელიც ეძლევა შრომის კომისარიატის ორგანოების მიერ საერთო წესით.

ბოლოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ ჯგუფისთვის სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა, მთავრობის მიერ გადადებულია მათთვის მთელი რიგი თანამდებობა. ეს უკანასკნელი ზომა, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ჯერ-ჯერობით განხორციელებულია მცირე მასშტაბით, მაგრამ უახლოესი ამოცანაა მისი გაფართოება.

მეორე ჯგუფია მეთაურთა შემადგენლობა გლეხობიდან, რომელიც დაკავშირებულია სოფელთან და აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც ილტვის სასოფლო მეურნეობისაკენ, ეს ჯგუფი, თუ რომ გამოვყოფთ მათგან ინვალიდობის გამო გათავისუფლებულებს, უზრუნველყოფილია როგორც პირველი ჯგუფი, და, გარდა ამისა, თუ რომ ის სურვილს გამოსთქვამს, ეძლევა მიწა და უფასო ტყე სახლის ასაგებად.

ბოლოს არის მესამე ჯგუფი მეთაურთა შემადგენლობის, რომელიც თავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან დანიშნულ ხნოვანობის მიღწევის ან ინვალიდობის გამო. ამ ჯგუფზე უნდა შევჩერდეთ დაწვრილებით.

სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლებით (თანახმად დამტკიცებულ „დადგენილებისა“) სარგებლობენ გაშვებულნი და გასაშვები 1925 წლის 1-ლ ოქტომბრიდან, კადრის შემადგენლობის უმაღლესი, უფროსი, საშუალო და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ვადის ზევით მსახურნი, იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს სამხედრო-საწარმოო ტარიფის მიხედვით.

1925 წლის 1-ლ ოქტომბრამდი გაშვებული პირები ღებულობენ უზრუნველყოფას წინანდელი წესით, ე. ი. სოციალურ დაზღვევის ორგანოების საშუალებით, თუ რომ წითელ არმიაში სამსახურის პერიოდში ისინი დაზღვეული იყვნენ, ანდა ყველა დანარჩენ შემთხვევებში—სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების საშუალებით.

წინანდელი წესითვე, ე. ი. საკავშირო რესპუბლიკებთან არსებულ „ცენტრალური კომისიების“ საშუალებით, ამ პირებს მიეცემათ პერსონალური პენსიები.

„დადგენილება სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ“ პენსიების მიცემისთვის ითვალისწინებს ხუთ საფუძველს:

1. თუ რომ მეთაურთა შემადგენლობის პირები ცნობილია შრომის უნარს მოკლებულად და მიკუთვნებულია ინვალიდთა ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფზე.

პენსიის რაოდენობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია ინვალიდობის ჯგუფზე და იმაზე,—გამოწვეულია თუ არა ეს ინვალიდობა სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით. თუ რომ ინვალიდობა გამოწვეულია სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით, პენსია ენიშნება 1-ლ ჯგუფს მთელი ჯამაგირის ოდენობით, მეორე ჯგუფის ინვალიდებს—75 პროც., მესამე ჯგუფის ინვალიდებს—50 პრ.

თუ რომ სამხედრო პირი გახდა ინვალიდი სამსახურის გავლის დროს, მაგრამ ეს ინვალიდობა არაა დაკავშირებული სამსახურის გავლასთან, ამ შემთხვევაში 1-ლი ჯგუფის ინვალიდებს ენიშნება პენსია ჯამაგირის 50 პროც.-ს რაოდენობით, მეორე ჯგუფისას 35 პროც.-ს, და მესამე ჯგუფის ინვალიდებს—25 პროც.-ს რაოდენობით.

ინვალიდების ჯგუფებს საზღვრავს ჯანმრთელობის სახალხო კომისართა საექსპერტო კომისიები.

(შემდეგი იქნება)

პ. პოლიანსკი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## რას ვაკეთებთ სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

1-ლი საკავშირო ასეული.

ჩვენი ასეული მდიდა[რ]ია სხვა და სხვა ხასიათის წრეებით, რომლებიც ჩამოყალიბდენ ბუნებრივად ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე, წითელ არმიელთა საკუთარი თაოსნობით. ასეულში მოსვლისას დაგვხვდა მხოლოდ ავიაქიმისა და რემედასის წრე[ე]ბი. სხვა წრეები არ არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მცირე დრო გვქონდა მეცადინეობისათვის, მაინც ჩამოვაყალიბეთ: პოლიტიკური, ლიტერატურული, ამიერკავკასიის შემსწავლელი, ბუნების მეტყველების, დრამატიული, სამხკორთა, პარტიის, წითელ არმიის ისტორიის, მოჭადრაკეთა და მომღერალთა წრეები.

ყველა წრეებს ხელმძღვანელობენ აქტიური ამხანაგები. წრეში მეცადინეობისათვის დათმობილია ყოველ თვიურად ოთხი საათი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული 14 პარტყრილობის შე[ს]წავლის საქმეს.

უპარტიო წითელ არმიელები დიდი ინტერესითა და ხალისით მუშაობენ წრეებში. არა ნაკლებ თაოსნობას იჩენენ აგრეთვე ასეულის მეთაურებიც.

მალე შესაფერ შედეგებს მივიღებთ ამ მუშაობით. ამის საწინდარია ნაწილში წარმოებული გაცხოველებული მუშაობა

სამხკორი დ. ვაჩეიშვილი.

## დრამწრეს კარგი მიღწევები აქვს.

მე 3 მე ლეგიონი.

ლეგიონში არსებული დრამწრე საკმაო ნაყოფიერებით აწარმოებს მუშაობას. ყოველ დღესასწაულების დროს სდგამს სადღესასწაულო ხასიათის პიესებს. დიდი ყურადღება ექცევა მის მიერ რევოლიუციონური ხასიათის პიესების დადგმას. ხშირად იდგმება აგრეთვე წითელი ჯარის ავტორიტეტის ასაწევი ხასიათის პიესებიც.

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგიონის ათასეულების დრამწრეებმა მოაწყვეს შეჯიბრი. პირველი ადგილი შეჯიბრში დაიჭირა პირველ ათასეულმა, რისთვისაც ჯილდოთ მიიღო აგიტპიესათა კრებული.

დრამ წრეში ჩათრეულია წითელ არმიელთა უმრავლესობა. ამნაირად სოფლებისათვის მზადდება წითელ არმიელთა მთელი კადრი, რომლებიც ნაწილიდან გაშვების შემდეგ თან შეიტანენ გლეხებში თავის ცოდნას და გამოცდილებას.

სამხკორი ბ. იოსელიანი.

## ჩვენი ნაწილების ლენკუთხეებში.

### განახლებული ლენკუთხე.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული.

უკანასკნელ დრომდე ჩვენს ნაწილში არ იყო სათანადოთ მოწყობილი ლენკუთხე, რომელიც შესძლებდა გაემართლებინა საერთო დანიშნულება, როგორც თავისი შინაარსით, ისე გარეგნულადაც. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ასეულის ხელმა სამხკომმა და მიღებული იქნა მთელი რიგი გაძლიერებული ზომებისა ლენკუთხის განახლებისათვის. დაიწყო გაცხოველებული მუშაობა, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ უპარტიო შემადგენლობა და აქტიური წითელარმიელები. მუშაობის ტემპი განსაკუთრებით გააძლიერა 1-ლი დივიზიის მაშტაბით მომხდარი საერთო შეჯიბრის მომენტმა. რამდენიმე დღის ენერგიული მუშაობის შემდეგ ჩვენი ლენკუთხე სულ ახალი სახით გამოიყურება. ის საკმაოდ მიმზიდველია გარეგნულად და განსაკუთრებით კი თავისი შინაარსით; აქვს ოთხი განყოფილება, თვითეული მათგანი ცალცალკე გამოფენილი და თავისი ხელმძღვანელები ყავს. განახლებული ლენკუთხით წითელარმიელები ძლიერ კმაყოფილნი არიან. ვუსურვოთ, რომ თავისი ნაყოფიერი მუშაობით ის არ ჩამორჩენოდეს ლენკუთხეთა საუკეთესო რიგებს.

სამხკორი ვ. კუნჭულია.

## კულტურულ ფრონტზე

### ლიტერატურული გასამართლება.

მე-2 მესანგრე ასეული.

30 მარტი. საღამოს ჟამია. წითელ არმიელებში რაღაც ჩოჩქოლია. ყველას წიგნი უჭირავს ხელში, რაღაცას ყურადღებით კითხულობდენ და ხშირად ერთმანეთსაც ედავებოდენ.

—ამხანაგებო, წავიდეთ კლუბში უკვე იწყება „გოგია უიშვილის“ გასამართლება—მოულოდნელად გადმოძახა წითელ არმიელებს ერთმა ამხანაგმა. ყველანი გამოაფხიზლა ამ გარემოებამ და გაექანენ კლუბისაკენ.

— ერთი კვირაა რაც ასეულში გაანაწილეს როლები დამცველებსა და ბრალმდებლებს შორის. ექვსი დღე განუწყვეტლად ემზადებოდენ ამხანაგები. ემზადებოდენ დანარჩენი წითელ არმიელები, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა გასამართლებაში.

რუსული ბათალიონის კლუბი უკვე გაიჭედა ჩვენი წითელი არმიელებით. მოუთმენლად ელიან ფარდის ახდას, გამოდის წინასწარ ერთი ამხანაგი და აცნობს წითელ არმიელებს წინასწარ მოთხრობის შინაარსს, რის შემდეგაც დაიწყო გასამართლება.

წაკითხული იქნა საბრალმდებლო ოქმი, რომელშიც გარკვევით იყო აღნიშნული ყველა უმთავრესი ბრალდებები ცალ-ცალკე. დაიწყო მხარეთა კამათი. ამხანაგები სათანადო მომზადებული გამოდიოდენ. წითელ არმიელები გულმოდგინეთ უსმენდენ მოწინააღმდეგე მხარეთა დავას.

დასასრულ წითელ არმიელებიც ჩაებენ კამათში. მათაც გარკვევით და დამაკმაყოფილებელი დასაბუთებით გამოთქვეს თავიანთი აზრი.

სასამართლომ გათავებულად სცნო კამათი. გავიდა განაჩენის გამოსატანად, რასაც დიდი ცნობის მოყვარეობით მოელოდა სულგანაბული დარბაზი.

სასამართლოს გამოჩენამ უფრო დასჭიმა დარბაზის ცნობისმოყვარეობა. ყველას ეტყობოდა მოუთმენლობა, და როდესაც, მისი დასკვნით გოგია უიშვილი გამტყუნებული იქნა, მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა მას.

წითელ არმიელებს ვერ მოეთმინათ გოგიას ისეთი უმოქმედობა, სასოწარკვეთილება და ბედისადმი დამორჩილება. „მან დიდი ღალატი ჩაიდინა თავისი ცოლშვილის წინაშე და მტყუანიაო“ გაიძახოდენ წითელ არმიელები.

გასამართლება დიდი სიხალისით იქნა ჩატარებული.

ასე ემზადებიან ჩვენი წითელ არმიელები წითელ ყაზარმაში.

სამხკორი სანდროშვილი.

## მეტი წინდახედულობაა საჭირო.

მე-5 ლეგ. კლუბის გამგეობ[ი]ს საყურადღებოთ.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ლეგიონის კლუბის გამგეობა მართავს ნაწილის კლუბში საღამო-წარმოდგენებს და მრავლად იპატიჟებს სტუმრებს სამოქალაქო ორგანიზაციიდან.

ჩვენი კლუბი იტევს სულ 150 კაცს. საღამოების დროს კი 350—400 კაცამდე იყრის თავს. ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი ხდება მათი შენობაში მოთავსება და იძულებული ხდებიან გადსდონ სპექტაკლი. მოქალაქეების მოწვევა ნაწილში და მათთან დაკავშირება უდავოდ კარგი საქმეა, მაგრამ აქაც საჭიროა ზომა. მოიპატიჟო და ადგილი ვეღარ უშოვო კაცს მიუტევებელი დანაშაულია.

არა ნაკლები საზარალოა აგრეთვე ის გარემოება, რომ საღამოები აღარ ტარდება.

ზედმეტ სტუმართ მოყვარეობას თავი უნდა დაანებოს ჩვენმა კლუბის გამგეობამ, თორემ მათი მუშაობა ნაყოფს ვერ მოგვიტანს ასეთ პირობებში.

ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ უნდა ექნეს შემდეგში მაინც.

სამხკორი ც—ო.

## ჩვენს სამხკორთა შორის მეტი მონდომებაა საჭირო.

ცხენ. ლეგიონი.

ამჟამად ჩვენს ნაწილში 17 აქტიური სამხკორი ითვლება. ბევრია მათ შორის პარტიისა და ახკომკავშირის წევრები. სამწუხაროდ მათ შორის მუშაობა ძლიერ შესუსტდა უკანასკნელად.

ვერ აწვდიან გაზ. „წითელ არმიელს“ წერილებს ხშირად. მეცადინეობა წრეში დანიშნულია ყოველ ხუთშაბათობით, მაგრამ 17 კაცის მაგივრად 8-7 კაცი თუ გამოცხადდება, რაც აუცილებლად სამხკორთა ორგანიზატორს უნდა მიეწეროს. დროა ბოლო მოეღოს ამხანაგების ასეთ გულგრილობას.

სამხკორთა ორგანიზატორმა კი უფრო უნდა გამოაფხიზლოს წრის მუშაობა, თორემ ასეთი უყურადღებობით საქმეს ვერ გავაკეთებთ.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ვიკრებთ გარშემო წითელ არმიელებს.

მე-5 ლეგიონის სკოლა.

სკოლაში დღიდან მისი დაარსებისა ჩამოყალიბებული იქნა სამხკორთა წრე. გამოდიოდა ორი კედლის გაზეთი, ახრის და კომუჯრედის ორგანო.

ორივე გაზეთებში ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდენ ამხანაგები.

წრეში მრავლად მოიპოვებიან უპარტიო წითელ არმიელები. სამხკორთა მუშაობით ისინი დიდათ არიან დაინტერესებული. სწერენ ნაწილის ცხოვრებაზე სისტემატიურად. 29 მარტს მომხდარ სამხკორთა თათბირზე მიღებული იქნა დადგენილება, რომ ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული სამხკორთა მუშაობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად. ყურადღება მიექცეს წითელ არმიელთა ფართო მასის მუშაობაში ჩაბმას, არ დაივიწყონ გაზ. „წითელ არმიელი“, ხშირად მიაწოდონ კორესპონდენციები და სხვა. დასასრულ თათბირმა აირჩია კედლის გაზეთის ახალი რედკოლეგია.

იმედია, რომ ჩვენი წრე შესძლებს ამ დადგენილებათა სისრულეში მოყვანას.

სამხკორი მ. ჭყონია.

## კონკურსი საუკეთესო მუშაკებზე, სამხედრო კუთხეებზე და კარგ მკითხველ წითელ არმიელებზე.

### ჩვენი აქტიური მკითხველი წითელარმიელები.

ცხენ. ლეგიონი.

1. ამხ. მიხეილ ტყემალაძე, მე-3 ესკადრონის წითელარმიელი, ნაწილში მოსვლისთანავე ჩაეწერა ბიბლიოთეკაში სისტემატიურად კითხულობს, როგორც წიგნებს, ისე ჟურნალ-გაზეთებს. ჯერ-ჯერობით მას წაკითხული აქვს სხვა და სხვა ხასიათის 25 ცალი წიგნი.

ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე ნაწილში წარმოებულ ყოველგვარ მუშაობაში. ხშირად ატარებს საუბრებს ლენინის კუთხეში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ესკადრონის კედლის გაზეთის გამოშვებაში. ეწევა პროპაგანდას წიგნებისა და გაზეთების გავრცელების მიზნით.

2. ამხ. ა. კვერნაძე მე-2 ესკადრონის საუკეთესო წითელარმიელად ითვლება. ასრულებს ესკადრონის ბიბლიოთეკარის თანამდებობას და ითვლება აქტიურ მკითხველად. ლეგიონში მოსვლისთანავე ჩაეწერა ბიბლიოთეკაში. მისი ბიბგამგეთ ყოფნის განმავლობაში არ ყოფილა წიგნის დაკარგვის არც ერთი შემთხვევა. ამხანაგმა ფართო კომპანია ჩაატარა წითელარმიელებში გაზ. „წითელ არმიელისა“ და „ახალი სოფლის გავრცელების და გამოწერის მიზნით. სულ გამოაწერია გაზეთები 74 კაცს. ლენინის კუთხეში ამხანაგი სისტემატიურად ატარებს საუბრებს და დაუზარებლად ასრულებს ყოველგვარ დავალებებს.

3. ამხ. დ. იოსავა, მეორე ესკადრონის მეთაური. ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი. წაკითხული აქვს სულ ამ მოკლე ხნის განმავლობაში 30 წიგნი. აქედან 20 სამხედრო ხასიათის და 10 პოლიტიკური. მონაწილეობას ღებულობს ესკადრონში წარმოებულ ყველა კულტურულ საგანმანათლებლო და სხვა მუშაობაში. სისტემატიურად ატარებს საუბრებს ლენინის კუთხეში და სხვა.

სამხკორი მიშა სააკოვი.

## წერა-კითხვის უცოდინარობის საუკეთესო ლიკვიდატორი.

მე-5 ლეგიონი.

ამხ. ნიკოლოზ მესხი—მასწავლებლად ირიცხება წითელი ჯარის რიგებში 1921 წლის მაისიდან. მისი დაუღალავი შრომის მეოხებით 181 წერა-კითხვის უცოდინარი იქნა მომზადებული და განსწავლული ამ უკანასკნელად ლეგიონში. სამსახურის მთელი დროს განმავლობაში მას მომზადებული ყავს 1.361 წითელ არმიელი.

ადგენდა წერა-კითხვის მცოდნე წითელ არმიელთა კადრებს და იყენებდა მათ უცოდინართა ხელმძღვანელებად.

ამხანაგი რამოდენიმეჯერ იქნა დასაჩუქრებული როგორც შეუდარებელი მუშაკი თავის დარგში. მეცადინეობას აწარმოებდა და აწარმოებს ეხლაც კომპლექსიური მეთოდით. მეცადინეობას უკავშირებდა პოლიტსაათებს, მიმდინარე კამპანიებს და საერთაშორისო მდგომარეობას. ხელმძღვანელობს წითელ არმიელთა თვითშემოქმედების საღამოების გამართვას. ხშირად ატარებს ასეულებში ხმამაღალ კითხვას და მოუწოდებს წითელ არმიელებს ენერგიულად შეუდგენ წიგნების კითხვას. დიდ მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე სამოქალაქო ლიკპუნქტების მუშაობაში.

სამხკორი კ. დევაძე.

## კარგი მკითხველი წითელ არმიელი.

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონის მე-2 ათასეულში მსახურობს წითელ არმიელი ამხ. ჰაფოძე, რომელიც სამაგალითოდ ითვლება ყოველ მხრივ. წითელი ჯარის რიგებში ის მსახურობს 1924 წლიდან. ნაწილში მოსვლისას იყო წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი. მეცადინეობას დიდი ენერგიით მოეკიდა თავიდანვე და წარმატებითაც დაასრულა. შეუდგა წიგნების კითხვას. მთელი ამ ხნის განმავლობაში წაკითხული აქვს 47 წიგნი. იწერს წაკითხული წიგნის კონსპექტს. წიგნებს სუფთად უვლის და თავის დროზე აბრუნებს. წაკითხული წიგნის შინაარსს აცნობს წითელ არმიელებს. გულმოდგინეთ კითხულობს ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. გაუგებარ სიტყვებს იწერს და შემდეგ ეკითხება მცოდნე ამხანაგებს. თავისი ინიციატივით შექმნა ასეულში მკითხველ წითელ არმიელთა ჯგუფი. სისტემატიურად თანამშრომლობს ათასეულის კედლის გაზეთში და გაზ. „წითელ არმიელშიც“. არ აკლდება ათასეულში მომხდარ არც ერთ კრებას. ამხ. ჰაფოძე დიდ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე წრეების მუშაობაში.

სამხკორი კ. კაკაბაძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მოხსენება საქართ. პროფკავშირთა ყრილობის შედეგებზე

1-ლი ლეგიონი.

31 მარტს შესდგა ლეგიონის 7 კომუჯრედის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის შედეგებზე. მოხსენებაში გარკვევით იქნა აღნიშნული თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღო ყრილობამ პროფკავშირების უფრო გაჯანსაღების შესახებ და რა ღონის ძიებები იქნა ამის შესახებ მიღებული. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს წითელ არმიელებმა.

ამ ბოლო დროს ჩვენი პარტიული წითელ არმიელები დიდ აქტივობას იჩენენ დავალებების შესრულებაში. სისტემატიურად ეწრებიან კრებებს. დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე უპარტიო წითელ არმიელთა შორის.

სამხკორი ა. ოდიშარია

## ჩვენი პარტიულ საქმიანობიდან

1-ლ დივ. საარტილერიო ლეგიონი.

ლეგიონში ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა დახურული პარტიული კრება. კრებას დაესწრო მთელი პარტ-კანდიდატთა და ახკომკავშირის აქტივი. კრებას მოხსენება გაუკეთა დივიზიის სამხედრო კომისარმა ა. ხ. კვირიკაძემ სამხედრო დისციპლინასა და პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე. მომხსენებელმა გაარკვია ქართულ დივიზიის თავისებურება დისციპლინის საკითხში სხვა დივიზიებთან შედარებით, როგორიცაა მაგალითად რუსების, სომხების, აზერბეიჯანელების და სხვა. მოყვანილი იქნა მთელი რიგი რიცხვები დისციპლინის დარღვევის და მათი პროცენტული შედარება 25 წლის განმავლობაში და აგრეთვე დისციპლინის დარღვევის ხასიათი და ამაზე მიღებული ზომები.

თანამოხსენებით გამოვიდა ლეგიონის კომისარი დემეტრაშვილი, ლეგიონის პარტშემადგენლობის შესახებ.

ამხანაგებს მისცეს შეკითხვები და ბოლოს გაიმართა კამათი, რომელშიდაც მთელი აუდიტორია იღებდა მონაწილეობას. ასეთი ერთსულოვნური სიფხიზლე კარგი ხანია არ ახსოვს ჩვენს პარტ-აქტივს. ბოლოს საერთო პარტიულმა ორგანიზაციამ დისციპლინის დარღვევის მიზეზების და თვისებებს გარჩევის შემდეგ, მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებისა.

სამხკორი ტ. მამალაძე.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკას დიდი მუშაობა მოუხდა ახალწვეულთა შორის. ჯერ კიდევ 1902 წელში დაბადებულთა გაშვებისას მან შესაფერი აგიტაცია აწარმოა მიმავალ ამხანაგებში და მრავალი ლიტერატურაც დაურიგა სასოფლო მეურნეობის შესახებ, რამაც როგორც მოწერილი წერილებიდან სჩანს შესაფერი ნაყოფი გამოიღო სოფლად. ბიბლიოთეკა კარგ ხელმძღვანელობას უწევდა და ეხლაც უწევს ასეულის ლენინის კუთხეებს. აქტიური როლი ითამაშა ბიბლიოთეკამ აგრეთვე პოლიტკაბინეტის მოწყობის საქმეში. ლეგბიბლიოთეკის თაოსნობით დაარსებული იქნა ასეულის ბიბლიოთეკარების მოსამზადებელი კურსები. წითელ არმიელები ბეჯითად ეკიდებიან საბიბლიოთეკო მუშაობის შეთვისების საქმეს.

ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი ამჟამად აღწევს 600 კაცამდე. ამათში 90 პროც. წითელ არმიელებია, დანარჩენი კი უფპოლიტშემადგენლობა.

ბიბლიოთეკას განზრახული აქვს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ მკითხველებად ჩაითრიოს წითელ არმიელების მთელი 100 პროც.

სამხკორი ა. დეისაძე.

# უცხოეთის არმიებში

საფრანგეთის ნაძ. რცვი „დოვლათი".

ამჟამად საფრანგეთს მეორე ადგილი უჭირავს სამხედრო საზღვაო ძლიერებაში მთელ მსოფლიოში. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მას მეორე ადგილი ეჭირა ამ მხრივ, მაგრამ შემდეგ გაასწრეს მას, გერმანიის, ამერიკის და იაპონიის ფლოტმა. იმპერიალისტური ომის დროს საზღვაო ფლოტი ძლიერ ჩამოქვეითდა, დარდანელში წარმოებულ საომარი მოქმედების დროს სასტიკი დამარცხების შემდეგ და ძლიერ ჩამორჩა თავისი მოკავშირეების ფლოტს.

ვაშინგტონის განიარაღების კონფერენციის დადგენილებათა ძალით საფრანგეთს ნება ეძლევა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით დაამზადოს დიდი გემები. ამის გამო მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი მონდომებით აუმჯობესებს მცირე მოცულობის გემებს, შეაქვს მათში სხვა და სხვა ტეხნიკური გაუმჯობესებანი და სხვა, ის მაინც დიდხანს ვერ შეძლებს შექმნას ისეთი ძლიერი სამხედრო საზღვაო ფლოტი, როგორითაც აღჭურვილი არიან ამჟამად ინგლისი, ამერიკა და იაპონია.

ამჟამად საფრანგეთის ფლოტი შეიცავს შემდეგ გემებს:

9 ლინკორი, რომელთაგან სამი უფრო ახალია, ხოლო დანარჩენები საგრძნობლად არიან მოძველებული; მიუხედავად ამისა ეს გემები დიდ ძალას წარმოადგენენ, რადგან მათზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეთა შემადგენლობას დიდი სამხედრო მომზადება და გაწვრთნა აქვს.

14 კრეისერი, ამათგან სამი უფრო ახალი ტიპის—ერგო საფრანგენთს ვერსალის ხელშეკრულების ძალით გერმანიის ფლოტის განაწილების დროს მოკავშირეთა შორის, ხოლო დანარჩენი 9 კი უფრო მოძველებული არის. ამიტომ საფრანგეთის გემთამშენებლობის ახალ პროგრამას გათვალისწინებული აქვს ფლოტის კრეისერებით შევსება.

70 კონონერკა და 57 საესკადრო ნაღმოსნები. ამას გარდა სამხედრო ფლოტის შემადგენლობაში შედის აგრეთვე 46 წყ. ნავები. ამათ შორის 11 გერმანიიდან აქვს მიღებული.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერთ გაზეთ „წითელ არმიელს" ერთი თვით თელავის მაზრის სოფ. შილდის და ენისელის ცვალებადი შემადგენლობა და მცხოვრებნი და ვიწვევთ გაზეთ „წითელ არმიელის" გამოსაწერად სოფ. ყვარელის და საბუის ცვალებადელებს.

ცვალებადელების დავალებით მ. ახალკაცი.

# ამბები სოფლებიდან.

**წყალსადენის გასაყვანათ.** ახალციხის საკრედიტო ამხანაგობამ დაადგინა გამოითხოვოს მთავრობიდან თანხები გლეხებზე სესხათ დასარიგებლათ წყალსადენების გაყვანის მიზნით.

**გლეხების მოწყობა.** რაჭის აღმასკომმა უკვე დაასახლა და მოაწყო ახალ სამოსახლოზე სოფ. ბუგეულის მეწყერისაგან დაზარალებული 15 გლეხის ოჯახი.

**სურამის აღმასკომმა** დაადგინა დაანგრიოს კლუბის შენობა და მის მაგიერ ააგოს ახალი.

**ჯაყისმანის და შალოშეთის** (ახალც. მაზ.) თემებში გლეხებმა დაადგინეს გაიყვანონ სარწყავი არხები.

# ახალი ამბები.

— **ტყის მოსაშენებლათ** ტფილისის მიდამოებში წელს ტფ. აღმასკომმა დახარჯა 20 ათასი მანეთი.

— **ქუჩების შეკეთება.** ამჟამად ტფ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება აწარმოებს ქუჩების შეკეთებას ქალაქის სხვა და სხვა რაიონებში.

— **დახმარება კომუნას.** აღმასკომმა დახმარების სახით გადასცა აღბულაღის სასოფ.-სამეურნეო კომუნას 3 ცხენი.

— **ახლო ხანში საქართველოს ცაკის მიერ მოწვეულ** იქნება ექიმთა ყრილობა ციებ-ციების საწინააღმდეგო ზომების გამოსამუშავებლათ.

— **ჯანსახკომმა მიიღო** გერმანიიდან რენტგენის სხივებით სამკურნალო მანქანები.

— **ვაზის მიღება.** სახალხო მამულების ტრესტმა მიიღო ამერიკიდან 800 ათასი მეტრი ამერიკული ვაზი.

— **საქარ. შრომის კომისარიატთან** დაარსდა უბედურ შემთხვევებთან მებრძოლი კომისია.

— **ღვინის გაგზავნა.** სახ. მამულების ტრესტმა უზბეკისტანში გაგზავნა ათი ათასი ვედრო ღვინო.

# ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

1924 წლის დასაწყისში მთელ რესპუბლიკაში 15 წლიდან 40 წლამდე წერა-კითხვა იცოდა 357,340 მშრომელმა. უცოდინართა რიცხვი კი შეადგენდა—369,247 კაცს.

პოლიტგანყოფილებამ, სალიკვიდაციო სკოლების საშვალებით 1924—25 წლების განმავლობაში წერა-კითხვა შეასწავლა 52,462 აღნიშნულ წლოვანების მუშასა და გლეხს. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 31,923 უცოდინარს; დასავლეთ საქართველოში კი—20,539 უცოდინარს. უცოდინართა რიცხვი დარჩა ამის შემდეგ 361.786 მოქალაქე.

ამ რიგათ, მთელი საქართველოს მოსახლეობაში წერა-კითხვა უკვე იცის 44,7 პროცენტმა და 54,8 პროცენტი უცოდინარია.

# განათლების ფრონტზე.

**ჟურნალი.** ახლო ხანში განათლების კომისარიატი გამოსცემს პედაგოგიურ ჟურნალს „ახალი სოფლისაკენ."

**9 წლედები.** განათლების კომისარიატმა აცნობა ცხრაწლედების გამგეებს, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ იმ დარგს, რომლის მეურნეობაც უფრო განვითარებულია სკოლის რაიონში.

**სოფლის სკოლების ხელმძღვანელთა შერჩევის მიზნით** განათ. კომისარიატმა დაუგზავნა სამაზრო გან. განყოფილებებს სათანადო ინსტრუქციები.

**სწავლის ფულისაგან** განთავისუფლება ახალი დადგენილებით ხდება მცირე წლოვანთა უფლებრივ დაცვის განყოფილებისაგან სიღარიბის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ.

# „შრომის ფონდების" დაარსება.

სოციალ. უზრ. კომისარიატმა და სრ. საქ. გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ცენტრ. კომიტეტმა ამას წინეთ ადგილებზე დაგზავნეს ახალი ცირკულიარი გლეხკომების მიერ „შრომის ფონდების" დაარსების შესახებ.

„შრომის ფონდები" არსდება ურღვესათ ნებაყოფლობითი ნიადაგზე და მისი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

გლეხკომს აყავს აღრიცხვაზე ის შრომის უნარმოკლებულნი რომელთაც ოჯახში არ მოეპოებათ მუშა ხელი. შემდეგ კანონიერად შეკრებილი საზოგადო კრება აწესებს თუ ვის რამდენი სამუშაო დღით ესაჭიროება დახმარება. გლეხკომის პრეზიდიუმი აწარმოებს ანგარიშს თუ ვინ, რით (სამუშაო იარაღი) და როდის უნდა იმუშაოს, ან ვის, რით და როდის ესაჭიროება ასეთი დახმარების გაწევა. ამნაირათ განსაზღვრულ თემში ჩვენ მივიღებთ სამუშაო კაც—დღეთა განსაზღვრულ რიცხვს, რაიც იქნება არსებითად „შრომის ფონდი."

აღნიშნული ღონისძიების მიზანია გლეხკომების მიერ შრომითი დახმარების საქმის მოწესრიგება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ეხლა, როდესაც გლეხკომებს ჩამოერთვათ სავაჭრო ფუნქციები და მათმა შემოსავლის წყაროებმა საგრძნობლად იკლეს.

ამ ჟამად მაზრებში უკვე მიმდინარეობს მუშაობა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გასატარებლად. სენაკის მაზრაში კამპანია უკვე ჩატარდა 13 თემში. დუშეთის მაზრაშიაც ჩატარებულ იქნა კამპანია სოც. უზრ. კომისარიატის მიერ გაგზავნილ ინსტრუქტორის მიერ. ამ ჟამად კამპანია მიმდინარეობს გორისა და სხვა მაზრებში. გლეხები ყველგან კმაყოფილებით ხვდებიან ამ ახალ საქმეს.

„შრომის ფონდების" ორგანიზაცია ახალი საქმეა, მთელ საბჭოთა კავშირისათვის და თავისებური გამოგონება ეკუთვნის სოც. უზრ. სახ. კომისარიატის საპენსიო განყოფილებას.

# ჩვენი ფოსტა.

**სამხკორებს გ—ს** (მეთაურთა სკოლა), **იმერლიშვილს** (მეასეული), **აჭარელს** (ბათომი), **ჭელიძეს** (მე 4 ლეგიონი) **ოგანოვს იოსელიანს ნემსს**—თქვენი წერილები არ დაიბეჭდება, დაგვიანებულია.

**სამხკორ გუნიას**—თქვენი წერილი „ნაკლი" გადაეგზავნა „ახალ სოფლის" რედაქციას.

**სამხკორებს კუჭ ვას და კუპრაშვილს:** თქვენი წერილები „1-ლი ქართული მსრ. ლეგიონი" და „პარტიული ცხოვრება" არ დაიბეჭდება. არსებითად არ ეხებიან საკითხს.

**სამხკორებს კვაჭაძეს და მეფარიშვილს:** წერილები „ჩვენი კლუბის მიღწევები" და „მე-2 ლეგ. მე-6 ასეული" არ დაიბეჭდება, ასეთები იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ანნაშვილს და ქიზიყურაშვილს**—ლექსები არ დაიბეჭდება.

**სამხკორებს ძინძიბაძეს, შ. ა., ტ. მამალაძეს, და ჭანკვეტაძეს, არველაძეს**—წერილები „ავტობიოგრაფია", „მოგონებანი", „საჭიროა მეტი კავშირი", „ცოტა რამ სრიალის შესახებ", „სამხედრო ტრიბუნალი"—არ გამოგვადგნენ, არ დაიბეჭდება.

**ამხ. დ. მეჯიაძეს და ჯოტო ქუთელიას**—შემოიარეთ რედაქციაში.

**სამხორ დედისეს**—შეგვატყობინეთ, რომელ ნაწილში ჰქონდა ადგილი იმ მოვლენას, რომელზედაც იწერებით წერილ „მოაწესრიგეთ უკეთ"-ში.

**სამხკორ გ. შენგელიას**—თქვენი წერილი „მოვსპოთ ასეთი ამხანაგები"—გადაეცა ტრიბუნალს.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ ცხენ. ლეგიონის ბიუროკოლექტივი ამით აცხადებს, რომ ბიუროკოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტ-კანდიდატებათ დასამტკიცებლად შემდეგ ამხანაგების: 1) ბეროძე მაკედონს, 2) გულიაშვილი ლავრენტის, 3) მუქერია ნიკოლოზს, 4) დანელია ნესტორს, 5) ცხაკაია ...რილეს, და აგრეთვე პარტ-კანდიდატობიდან პარტ-წევრად უნდათ გადაირიცხონ შემდეგი ამხანაგები: 1) მეგრელი თედორე, 2) სვანიძე ლონგინოზი, 3) ქადეიშვილი კალენიკე და კოპლატაძე ეგნატე.

ზემო აღნიშნულ ამხანაგების ს. კ. პ.—ში მიღების წინააღმდეგ თუ ვინმეს რაიმე აქვს გთხოვთ გვაცნობოთ ქართულ ცხენოსან ლეგიონის ბიუროკოლექტივში.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.